

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია**  
**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი**  
**სატენდერო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი № 1**

21 თებერვალი, 2020 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი შენგელია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;

სატენდერო კომისიის წევრები

გიგა ფარულავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მიხეილ ჭკადუა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი;

იდა ქვარაია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ლექსო თოდუა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი;

კობა ჯიქია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი;

დავით ხუნჯუა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** კონსტანტინე კაკავა – კომისიის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; თენგიზ შანავა – კომისიის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; გიგა მელია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით – ექვსი წევრის დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული და ამავე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებებისათვის კვებითი (ფურშეტების ორგანიზების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის აპარატის წევრის (ბ. ქარდავას) ინფორმაცია და კომისიას განსახილველად აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, სატენდერო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები.







ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია/Zugdidi Municipality City Hall

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, დღგ-ს გათვალისწინებით, განისაზღვრა 4950 ლარით. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება დადგინდა კლასიფიკატორის (CPV) კოდით: „55300000 - რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები“.

**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ, საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული და ამავე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებებისათვის კვებითი (ფურშეტების ორგანიზების) მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

**დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს:** უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის, ასევე, წინამდებარე სხდომის ოქმის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

**კომისიის წევრები:**

- |    |   |              |                |    |  |             |
|----|---|--------------|----------------|----|--|-------------|
| 1. |    | გ. შენგელია  | (თავმჯდომარე); | 4. |    | ი. ქვარაია; |
| 2. |   | გ. ფარულავა; |                | 5. |   | ლ. თოდუა;   |
| 3. |  | მ. ჭკალავა;  |                | 6. |  | კ. ჯიქია.   |

**კომისიის აპარატის წევრები:**

- |    |   |             |  |    |  |            |
|----|---|-------------|--|----|--|------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა; |  | 2. |  | დ. ხუნჯუა. |
|----|---|-------------|--|----|--|------------|